

472 / 2 v ~~2760~~ 2736 2736

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# ფრთხილ

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1.

სუთმაბათი 1 იანვარი 1909 წ.

დამატების № 1.




760

Handwritten scribbles and marks.

Handwritten text at the bottom of the page, possibly a signature or note.





ოსმალეთის პარლამენტის განხილვა.

**ვერ მოგილოცავ!**

წუგდიადმა შთანთქა  
ტაზედ ვარსკვლავი!  
ისმის ვადება  
გულშემსარავი!

ბარკადთ ჩხრადი  
კვლავ სულსა ჭხუთავს;  
საბრადო მსხვერპლი  
ბრჭყალებში ჭკუთავს!

ცხრეულ შეკრდიდან  
სისხლი ადრება;  
გმირი შებრძოლი  
უდროოდ კვდება!

შავი ეორანი  
თავსა დასხვავის;  
სისხლის მსმელ ფრანგულთ  
თვისკენ უძახის!

ჭოი მამულა,  
მრავალ ტანჯულა  
ვერ მოგილოცავ სახლსა წელსა;  
შენი ერთგულნი,  
თავდადებულნი  
თვადით აფრქვევენ მდულარე ტრემლს!  
ა. შანშიაშვილი.

**სახიფათო სიყვარული**

(ისტორიული მოთხრობა)

1

1641 წელს აღდგომის მეორე დღე ისეთივე მშვენიერი გათენდა, როგორც თითონ აღდგომა. ცა მოწმენდილი იყო, მხოლოდ მალა, ძალიან მალა, ცის კამარაზე აქა-იქ ღრუბლის ქულები გაფანტულიყო. მზე ბრწყინვალედ ანა-

თებდა არეს, გუშინდელივით კი ამოსვლისას ბატონს აღარ ათამაშებდა. მისი სხივები ჯერ არა სწვამდნენ დედამიწას, მხოლოდ ათბობ-ანათებდნენ.

მზეს უხაროდა, რომ სძლია მომავლდინებელ ზამთარს და მოარიდა იგი შელონებელ დედამიწას. ეხლა მკაცრი ყინვის მაგივრად თითონ ჰხვევდა მას ცხოველ-მყოფელ სხივებს, ნაზად ეალერსებოდა, ეკონებოდა. სცდილობდა მთლად გამოეთეხიზღებინა დამძრალი და ფერმიხდილი ბუნება, გამოერკვია იგი, გაემხნევებინა და ღონე მიეცა მისთვის, რომ სიხარულით აღეზარდა ახლად გამოსახული ნაყოფი.

დედამიწაც შეხაროდა ცხოველმყოფელ ნათელს და მისკენ აღეპყრო გაღიებულ მდელითა ღერო: ჰსურდა ეჩვენებინა, რომ მისი მისწრაფება გულსავსედ მიიღო და აღმოეცენა სასურველი ნაყოფი სიამისა.

მზე და დედამიწა ეხვეოდნენ ერთმანეთს და ორივენი ერთად შეჭხაროდნენ ახლად გაღვიძებულს მდელით, პირმშოს მთის ტრფობისას.

ყოველივე სულდგმული თანაუგრძობდა მზისა და მიწის დღესასწაულს, ქებას უძღვნიდა, დიდებასა სწირავდა; შეჭხატროდა მათ დაუშრეტელ ძალას, თავანსა სცემდა: ახმაურებულიყო მინდორი: ტყე, წყალი, ჰაერი.

გულს თანგი მოჰშვებოდა ადამიანსაც, პირს ღიმი დაჰფენოდა, სადღესასწაულად გამზადებულიყო.

2

სადღესასწაულოდ ემზადებოდა ყაფლან არსიანელიც. ეზოში ორი ურემი იდგა, ერთი დაჩარდახულ-მოფარდავებული, მეორე სავსე ხურჯინებით. ქვაბ-ქურჭელით, ფიჩხ-საფენით. ურემის თავზე ვერძი იყო ჩაკრული. იქვე ეგდო ღვინით სავსე კოლოტი; ურემის ბოლოზე იდგა ლოგინით გატენილი მაფრაშა. უკან კურატი იყო გამობმული. ბიჭები გარს უვლიდნენ ურემებს: უწყობდნენ, ასწორებდნენ, ამაგრებდნენ, აკრავდნენ. ხარ-კამეჩისათვის თივა დაეყარნათ, ცაცხვის ქვეშ შეკაზმული ცხენები ება.

აივანზე ისხდნენ მსუბუქად შეიარაღებული ვაჟაკები და საუზმობდნენ. ერთი მათგანი უფრო ხნიერი იყო, წვერ-მოპარსული, უღვაშში ხშირი ქალარა ერიპ, ყურმაჯები გადაეყარნა. ამ კაცის უკან მწვეარი იწვა და მარჯვედ იქერდა გადაგდებულ ლუქმას. წითელ-ყვითლად აყვავებული მოახლეები მიდი-მოდიოდნენ, ამზადებდნენ, ემზადებოდნენ.

მარჯვნივ მალალი ტყრუშული ჩასდევდა და ჰყოფდა ეზოს ბალისაგან. ბაღში უზი იყო გამართული და შადრევანი ამოდიოდა. აუზის პირას ჩამომჯდარიყო პირისფერებში მორთული ქალი, ხელში პური ეჭირა და წყალში ნამცეცებს ისროდა. თევზები ეტანებოდნენ ნამცეცებს და მარჯვედ იქერდნენ. ეს წყალი მალაროებით იყო გამოყვანილი. მალაროები დიდ მანძილზე მოსდევდნენ სოფელ ერტისის ბოლოდან. ბაღი ჯერ არ იყო მთლად შემოსილი, მცენარე ეხლა იფურჩქნებოდა. ბაღი დიდი იყო და თავდებოდა ხევის პირას. ზაფხულობით ეს ამწვანებულ-ალაღანებული ბაღი, როგორც ბატონის ეზო-სასახლეც, მშვენება იყო სოფელ კოდისა, რომელსაც წყალი ნაკლებათა ჰქონდა და სიცხის გამო იტრუსებოდა.

ბატონის სასახლე ზევიდან დასცქეროდა სოფელს და სავსე იყო ყოველივე დოვლათით. რა გინდა, სულო და გულო, რომ აქ არ მოიპოვებოდა! თევზიც კი ესხდათ აუზში, რომ სურვილი უმაღლ დაეკმაყოფილებინათ, რადგან მდინარე ალგეთი მოშორებით ჩამოუდიოდა ოფელს. ეს თევზები ძალიან უყვარდა ბატონის ერთად-ერთს ქალს ტასიკოს და ეს ქალი იყო მათი განსაკუთრებული მომვლელ-მფარველი. ეხლაც, ხატობაში წასვლის წინ, თავის ხელითა ჰკვებავდა მათ. ოდნავ მომღელღარე ანკარა წყალში კრთებოდა ახალგაზრდა მშვენიერი სახე და იღებდა სხვა და სხვა იერს, ხანდის ხან სასაცილოს და ყოველთვის სანდომს.

აღვა ყაფლანი, მოიხადა ქუდი. წამოიშალნენ ყველანი. ხუცესმა წარსთქვა ლოცვა. პირჯვარი გადიწერეს.

— შვილო, ფარნა, დრო არის წასვლისა, — მიუბრუნდა ყაფლანი ახალგაზრდა ვაჟაკს, რომელიც იქვე იდგა გვერდით.

— მოახსენეთ ქალბატონს, გამობრძანდეს! — უბრძანა ფარნაოზმა.

მოახლეები გაიქცნენ ოთახისკენ. გამოვიდა ქალბატონიც. მძიმედ იყო მორთული სარტყელ-გულისპირით, ლეჩაქთასაკრავით; ტანთ ქათიბი ეცვა. კავნაწნავი ჰინითა ჰქონდა შედებილი. საყურ-ბეჭედი უბრწყინავდა. მიესალმნენ. უშველეს ურემზე ასვლა. მწვანე წულეები ჰსცმოდა მოქარგულ ქოშებში.

— ქალო, ტასიკო, მრდი, შვილო, დრო არის წასვლისა! — გასძახა ქალბატონმა ქალს.

ქალი გამოცქრიალდა. ფარნაოზს უნდოდა ეშველნა მისთვის ურემზე ასვლა, მაგრამ ტასიკომ არ აცალა, თითონ



შეფრინდა და დამკინავის ღიმილით გადმოხედა ქაბუკს. შეჯდა ცხენზედ ყაფლანიც. შესხდნენ ყველანი. გადაიწერეს პირჯვარი და გაემართნენ სამები-საკენ.

კ.

სამება განტყმული ხატია საბარათიანო-ში. გათათრებულ ქართველებსაც ახსოვთ და სწამთ ეს სალოცავი. ეკლესია სო-ფელ კუჩისის თავს არის აწინებულნი. ფკლდებზედ. მარჯვნივ ხევი ჩემოულის პა წაწინა ნაკადულით. საყდრის გარშემო-აკაკები სდგას, ხევის პირას ლეღვი ჰხა-რობს. კოდრან საცადღესო გზა კუმის-ზე აღის, ურმის გზა ვაშლოვანზე. გრი-ლი ადგილია, სო არასოდეს არ აკლია. ყაფლანიანთ ბინა ხევის პირას დაე-დოთ, საიდანაც ნაკადული ჩაჩქრილებ-და ძირს. კარავი კუმისს და მის ტრიალ მინდვრებს გადაჰყურებდა. არსიანელით ღამის თევა ჰქონდათ შეთქმული.

მლოცავი ზოგი მოსულიყო, ზოგი მო-დიოდა; მეორე დღეს სამებობა იყო და ღამის მთვევლები იკრიბებოდნენ. ეკლე-სიას პატრუქს ავლებდნენ, სანთელს ან-თებდნენ. დიდძალი ზვარა მოეყვანათ: კუ-რატი, ცხვარი, მამალი. არსიანელთ ცეცხ-ლი გააჩაღეს, ვახშამს შეუდგნენ. ყაფლანის უკან იდგა მისი მოურავი თევდორე და გადად-გადმოდიოდა, ფეხს იცვლიდა.

— ალბათ სათქმელი რამ გაქვს, ბიჭო, რომ ირყევი ნასახლარის ნარივითა— შე-ნიშნა ბატონმა.

— დიად, ბატონო, მინდა მოგახსენოთ, მაგრამ ვერ გამიბედნია.

— ისეთი რა უნდა იყოს!? სთქვი!

— თქვენი მშვიდობა! ხვალ როსტომ მეფე უნდა ამობრძანდეს ქალაქიდან. ბარგი კიდევ მოვიდა. ბატონი ზურაბიც თან ახლდება, თქვენი სიმამრის შვილი..

ამის გაგონებაზე ქალბატონი აღელდა, ტასიკოს სახე გაუცოცხლდა და სიხარუ-ლი აღებეჭდა თვალეში; ყაფლანმა კი შუბლი შეიკუმუნა: ფიქრი რამ გადაე-ზვინა მის სახეს.

— მეფე როსტომიო?! ვინ უკურთხე-ყიზილბაშს საქართველოს გვირგვინი? სთქვი, ხოსრო-მირზა თქო!— შეუტია ბა-ტონმა მოურავს და ისევ ჩაფიქრდა.

— ნეტავ რა უნდათ ამ წმიდა სალო-ცავში ან ხოსრო-მირზას, ან ი ჩემი სი-მამრის შვილს, ზურაბ-ხანს, რა ხელი აქვთ ყიზილბაშებს ქართველთა ხატთან?!— გაიფიქრა ყაფლანმა ხმა მალლა.

— რა ხელი აქვთ და უნდა დაგვირ-ღვიონ სიმშვიდე, მოგვიშალონ მყუდ-როება, დაგვიკარგონ სასოება, შეგვი-ლატონ სიწმიდე!— მიუგო სხვამ.

— ბატონო, მაჰმადიანებიც დადიან აქ სალოცავად. იქნება სამების ძალმა კვლავ მოაქციოს განდგომილნი და შემოუერ-თოს წმიდა ეკლესიას.

— გისმინოს უფალმა!..— მიუგეს აქათ-იქიდან.

— ხოსრო-მირზა და ზურაბი უთუოდ მოვლენ ჩემთან, რაკი ვაიგებენ, რომ აქა ვარ. არ მივილო, არ იქნება, მიღე-ბა კი არ შემიძლიან: სჯულისა და მა-მულის მოღვატეებს ვერ შევირიგებ, გულს ვერ გავუწვრებ.

მაგრამ დღეხანს ვერ დაადგა ყაფლანი ამისთანა ფიქრებს. ქართველ კაცს ჰმუნ-ვა არ შეჰშვენის ხატის კარს, დარდის დაჩენა ცოდვად მიიჩნია; დაღვრემილი



ახმედ-რიზა,

ახალგაზრდა ოსმალთა მეთაური და პარლამენ-ტის თავმჯდომარე.

ვერ წარსდგება კეთილისმყოფელის წი-ნაზე; დაბეჭილი ტანისამოსი და მოქუ-შული სახე უმადურობა იქნება ყოვლად მოწყალის წინაშე, ხატს გაანაწყენებს, გაარისხებს. ყაფლანმა ძალა დაატანა თავს და ჯავრის ღრუბელი გადიყარა სახიდან.

— სამების ძლიერება ყოველსავე სა-სიკეთოთ მოაქცევს თავის მოსავეთათვის! იქნება ასრულდეს ხუცესის სიტყვა და საქართველომ კვლავ მოიპოვოს თავისი წარწყმედილი შვილი,— სთქვა ბატონმა და მიუბრუნდა მოურავს! — იმისთვის მომწონხარ, თევდორე, რომ თავის დრო-ზე გამიგებ ხოლმე ყველაფერს. გადიარე შინ და შევსაყდრული წამომიღე კი-დეგ ერთი ტიკი: ხვალ თავის გამოჩენა მოგვინდება.

— აკი მაჰმადიანები ღვინოს არა სვა-მენო,— იკითხა ტასიკომ.

— ეგენი, შვილო, აღარც თათრები არიან, აღარც ქართველები; მაჰმადის სჯულსაც დალატობენ და ქრისტეს სჯულსაც ჰგმობენ,— მიუგო მამამ და ისევ ჩაფიქრდა.

— სიფთხილე გვმართებს! ხოსრო-მირზა მოლაღატეა ღვთისა და არ შე-იძლება მაგისი ნდობა: ბევრი სისხლი

დაუღვრია მართალი; იქნება მიზეზები მოგვიკრიფოს და წამოგვექლოს.

ყაფლანის სიტყვებზე შეკრთნენ ქალე-ბი.

— რას ბძანებ, ბატონო, ჩვენი წამო-ქელვა!— გაიკვირვა ფარნაოზმა.

ყაფლანმა სიამოვნებით შეხედა ამ წერწერ ახალგაზრდას და თითქმის შერცხ-ვა თავის სიტყვებისა.

— კმარა! როგორ შეიძლება ხატის კარს ამდენი შიში და ფიქრი, — სთქვა ყაფლანმა და შემოსძახა. ძლიერი ბანი მისცეს ვაჟკაცებმა და სიმღერის ხმა გუ-გუნით ჩაეფინა კუმისის ღრანტეებს.

ყაფლან არსიანელი პატარაობიდანვე იცნობდა მეფე როსტომს, სვიმონ მეფის ტყვეობის დროს; მისი ძმა დაუთხანი რომ გამეფდა და ქვეშის ციხეში სცხოვ-რობდა განცხრომით, თანა ჰყვანდა მა-შინ პატარა როსტომი. დაუთხანი ძალი-ან ანებივრებდა ბავშვს, რადგან იგი უფ-რო ბედნიერადა ჰგრძობდა თავს ამ ვა-ჟის ღედასთან, ვიდრე თავის კანონიერ მეუღლესთან.

შემდეგ როსტომი მიეფარა ყაფლანს თვალისა. მხოლოდ მაშინ მოაგონდა არსიანელს როსტომი, როდესაც გიორ-გი მეფემ დაასახელა ეს ვაჯი ქსენია ბა-რისის ასულის საქმროდ. როსტომმა უა-რი სთქვა რუსის მეფე გოდუნოვის სი-ძეობაზე და სპარსეთს წავიდა. ეს ამბავი ძალიან გაუკვირდათ მაშინ ქართველებს და ყურადღება მიაქციეს ამ ვაჟს. ყე-ენის კარს როსტომმა მაჰმადიანობა მიი-ლო. მაშინ უწოდეს მას ხოსრო-მირზა.

1634 წ. შაჰ-სეფემ დასვა როსტომი საქართველოს მეფედ, ნაცვლად განრის-ხულის თეიმურაზისა. ზოგიერთ დიდე-ბულს ეწყინა ეს, არ მიიღო როსტომი და გაუდგა. უკმაყოფილოთა რიცხვში იყო ყაფლან არსიანელიც.

არსიანელის სიმამრის შვილი ზურაბი კი დიდი მეგობარი იყო როსტომ მეფე-სა და ძმად გაფიცული. ზურაბი თეი-რანში გაეცნო როსტომს და დაუახლოვ-და. გიორგი სააკაძე რომ გაიჭრა შაჰ-აბაზის კარს, ზურაბი თან წაჰყვა იმას. თეირანში დიდ-მოურავმა ხოსრო-მირზა წარუდგინა ყეენს, როგორც ლუარსაბ მეფის მეტოქედ გამოსადეგი კაცი. შაჰ-აბაზი მიხვდა, რა მოხერხებული იარაღი შეიქნებოდა სპარსეთის ხელში ხოსრო-ვირზა, რომელმაც უკვე უარჰყო რუ-სეთთან დამოყვრება და რომელიც გა-მაჰმადიანებული, აღარასდროს არ დაუ-ქვრდა მხარს რუსეთთან შეერთების

აზრს. შაპაზმა მიიჩნია ხოსრო-მირზა, დაიხლოვა და ისპაჰანის მოურაობა უბოძა.

— ხოსრო-მირზა რომ მომხრე იყო სპარსეთისა და უარყოფელი მოსკოვთან დაკავშირებისა, ზურაბიც ესეთივე რწმენით იყო გამსკვალული. ეს აზრთა ერთობა იყო უმთავრესი მიზეზი ამ ორი კაცის დამეგობრებისა. ხოსრო-მირზას თანამოაზრე და მეგობარი იყო კიდევ იორამ სააკაძე, დიდმოურავის შვილი.

როსტომი რომ წამოვიდა საქართველოში ტახტის დასაქერად, ზურაბი და იორამ სააკაძე თან ახლდნენ მას. საქართველოშიც მეგობრად შერჩნენ ესენი როსტომს და დიდი დიდება მიიღეს მის კარს.

ყაფლან არსიანელი მტრულად უყურებდა გამაჰმადიანებულ როსტომს და ზურაბხანს, მოლაღატებელ მიაჩნდა ისინი. ყაფლანიც იმასავით იყო დარწმუნებული, რომ სპარსეთთან მეგობრული კავშირი საქართველოსთვის ბუნებრივი იყო და ბრძნული, რადგან ადგილმდებარეობა ქვეყნისა, სულიერი მისწრაფება ამ ორ ძველისძველი ხალხისა და მათი ისტორია უფრო ემესაბამებოდა ერთმანეთს, ვიდრე შორეულ ჩრდილოეთს; მაგრამ ყაფლანის აზრით, საქართველო უთუოდ თავისუფალი უნდა ყოფილიყო: ხელუხლებელი ქართველთა მიწა-წყალი, შეულახავი ქართველთა ზნე-ჩვეულება და სარწმუნოება. მეტადრე დიდ მნიშვნელობას აძლევდა ყაფლანი სარწმუნოებას.

— საქართველო საქრისტიანოა, ქართველთა ერთი შედუღებულია მართლმადიდებლობასთან და ქრისტიანობის უარყოფა იმავე ქართველობის უარყოფაა, ქრისტიანობის დაღატი იმავე საქართველოს დაღატი, ფიქრობდა ყაფლანი.

ეს იყო მიზეზი, რომ ვერ შეპირებოდა როსტომ მეფეს, თუმცა ვერც განდევნილ თეიმურაზის დამცველად გამოსულიყო, იმ თეიმურაზისა, რომელიც სცდილობდა გაეღო დარიალის კარები და ჩრდილოეთის ძალით დაემხო სპარსეთი.

— ბატონს თეიმურაზს ავიწყდება, რომ მისი სამეფო ხილად არის გადებული ჩრდილოეთსა და სპარსეთს შუა. ირანზე მიმავალმა ჩრდილომ საქართველო უნდა გადმოლახოს და რით არის მეფე დარწმუნებული, რომ იმ ბუმბერაზის მძიმე ნაბიჯი არ ჩასრეს ჩვენს სამშობლოს, — ამბობდა ყაფლანი.

**ვ. ბარნოვი.**

(შემდეგი იქნება)



საპარლამენტო არჩევნები ოსმალეთში.

**წვილა მუხა. \*)**

(თქმულება)

საყდრის ეზოში ამაყად სდგას ასწლოვანი მუხა. კარგა მანძილზედ გაუშლია თავისი მსხვილი, ღონიერი ტოტები. ღრმად ჩაუშვია მიწაში ფესვები, გაუფართოვებს ყოველ მხრივ. ორი მოზრდილი ტოტი საყდრის დახვესებულ ბანისთვის გადუფარებია — ავდარისაგან იფარავს მუხა დაძველებულ საყდარს. ისიც თავის მხრივ დავალებული არა რჩება, თავის ხატის დარაჯად უდგას მუხის დღევრძელობას: არვის ძალუძს მუხის შეხება, ყველას ხატისა ეკრძაღვის, ყველა ერთდება ხატის რისხვას. ხშირად მომხდარა, რომ სოფელს შესცივნიან, კიწეწი შეშა და ნატრულებია, მუხის ქვეშ კი ბლომად ყრილა გამხმარი ტოტები, მაგრამ ამ ტოტებს არავინ მიჰკარებია: „მუხა წმიდაა, მისი შეშა ხატისაა, ნუ გავარისხებთ პირმცინარსაო“, უთქვამთ სოფელთ. მშვიერი ღორის ჭყვივლს პატრონისთვის ყურთასმენა წაუღია, მუხის ქვეშ კი მოფენილი ყოფილა მწიფე რკო, მაინც არვის შეულახავს ხატისადმი კრძალვა და რიდი, არვის გაურისხებია პირმცინარი!

\* \* \*

— ესეც შენი ახალი წელიწადი! — წაიბურტყუნა ზურაბი და თან ჩანელებულ ცეცხლს გამხმარი ქალამანი წაურია. — სიცვიისაგან ღამის გაფიხხხე და ესენი კი მოჰყოლიან, ახალწელიწადიაო, ძველი არ სჯობდა ამ ახალს? ამ ერთი კვირის წინად როგორი ცეცხლი გუზგუზებდა ე კერასთან, ესლა კი როგორი თავპირი ჩამოსტირის! ბურღლუნებდა ზურაბი.

— ადუ, შვილო, ე შეშა მაიტა საიდანმე, მა რის ვაჟკაცი ხარ, თუ შეშის მოტანაც არ გამოგივა ხელიდანო, — გაუმეორა სალიამ თავის ზურაბს.

— რას ამბობ, ადამიანო, ტყეში თითო ხესთან თითო მეველე წანწალებს, დამგვლებულან ოჯახკორები, იმათ ხელში ჩავარდნას მე ე სიცვიით გაფიხხება მიჩვენია, — იუარა ზურაბი უცებ რაღაც სანატრელმა ფიქრმა გაუელვა ზურაბს: „საყდრის მუხის ქვეშ ერთი ზღვა შეშა

\*) ხეთა თაყვანისცემა აქნობამდე დარჩენილი საქართველოს ზოგიერთ ადგილებში (მაგ. კახეთში). ეკლესიებთან მდგომ ხეებს სცემენ თაყვანს ნამეტნავად ხის ხელის ზღვა აღკრძალულია, ხატი გარისხდებაო.

ჰყრია, ხატს შეშა რად უნდაო“. ამ აზრმა გაუელვა ზურაბს და კარგა ხანს თავზედ ელოლია-ვებოდა.

საჩქაროდ ჩაიცვა ქალამნები, ტოლადებიც კი არ დაიხვია, გადიცვა მამისეული ფარაჯა, ჩამოიფხუტა დიდი ტყავის ქუდი და კარში გავარდა. პატარობიდან ღვთის შიშში აღზრდილმა ზურაბმა ხატის შეშის მოტანა გადასწყვიტა. ლეკი გამოფიხხლდა... მოაგონდა ღვთის ამბები ხატის ძლიერებაზედ, სოფელთ შიშში მის წინაშე და ჩაფიქრდა. ორი აზრი იბრძოდა ზურაბს პატარა გულში: აილოს შეშა და მით ხატის რისხვა დაიმსახუროს, თუ თავი დაანებოს და სიცივით იკანკალოს?! მუხის ქვეშ დაფიქრებული სდგას ჩვენი ზურაბი. მოაგონდა გრძიანთ ლექსის ნათქვამი: „ზურაბე, მშიშარა ხარ, ქალი ხარ, ზურაბე, სწორეთ ქალიო“. — ბრაზი მოაუვიდა ლექსის სიტყვებზედ, დასწვდა ერთ დიდ ტოტს, მაგრამ... ხმელი მუხის ტოტი წმიდა გიორგის განრისხებულ ხატად იქცა, პირიდან ცეცხლსა ჰყრიდა „პირმცინარი“ და ზურაბს ხელს ავლებდა. ზურაბი მთლად დაიბნა, უნდა დაეყვირა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა, გაფითრდა ზურაბი... მოჰკურცხლა შინისკენ...

\* \* \*

— შვილო, ზურაბე, შე დედამკვდარო შვილო, რა დაგემართა, ერთი ხმა გამე, ბიჭო?! — ჩასტირიადა მწარედ ლოკინად ჩავარდნილ ზურაბის ტირილისაგან დაოსებული დედა სალია.

ზურაბს მამა შარშან მოუკვდა, სულ 15 წლის შერჩა დედას, მაგრამ გამრჯელი სალია ობლოას არ ატყობინებდა, სცდილობდა მამობაც გაეწია, მაგრამ ახალწლის ღამეს უქეიფობის გამო შეშა ვერ უზრუნა თავის ზურაბს...

ეს ათი წელიწადი სალიას ზურაბს ავად არ უნახავს. ერთხელ ახსოვს, წითელა რომ სჭირდა, მაშინიწვა ერთი კვირა, ეს არის და ეს. ესლა-კი... ბოლმა გულს უღრღნიდა, სულს უხუთავდა სალიას.

\* \* \*

ამბობენ, ყოველ ახალწლის განთიადზედ „წმიდა მუხის“ გარეშემო ვიღაც მოხუცი თავშალ მოხდილი უვლის და გულში ცემით მუხასა სთხოვს შვილის სასჯელის პატიებას... ხანდისხან ესმით სოფელთ მისი ძახილიც: „წმიდა გიორგი, პირმცინარო, შენ აპატიე უნებლიეთი ცოდვა ჩემ ზურაბისო!

**ვ. თამრაცხელი**